

რეკომენდაცია

არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო და უვნებელი წყლის ხელმისაწვდომის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2016–17 წლების განმავლობაში აქტიურად სწავლობდა არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო და უვნებელი წყლის ხელმისაწვდომობის, ბავშვთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მონიტორინგის საკითხებს. შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სასმელი წყლის უვნებლობისა და უსაფრთხოების თემებზე, ასევე, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისა და მონიტორინგის მექანიზმის ეფექტიანობის საკითხებზე.

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობის, ბავშვთა განთავსების ინსტიტუტებში, თემსა თუ რეგიონებში სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს. მსგავსი ტენდენცია განსაკუთრებით თავს იჩენს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში, ასევე აღნიშნულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე ადრეულ, სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში¹, სადაც რიგ შემთხვევებში გამართულად არ ფუნქციონირებს

¹წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დარღვევები გამოიკვეთა როგორც თვითმმართველ ქალაქებში, ასევე, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო სკოლებში; მათ შორის აღსანიშნავია – სსიპ ქ. თბილისის N160 საჯარო სკოლა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ შრომის საჯარო სკოლა; ასევე, სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დარღვევები ფიქსირდება შემდეგ საჯარო სკოლებში: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლა, კასპის

ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა, რაც ასევე წარმოშობს ჰიგიენისა და სანიტარიის დაცვის პრობლემებს².

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მდგრადი განვითარების პრინციპები (SDG)³ და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა წყალსა და გამართულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე, აღნიშნული მოთხოვნის ეროვნულ დონეზე განხორციელება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ნორმატიულ დონეზე არ არის განსაზღვრული მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც რეგულარულად შეამოწმებს ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელ დაწესებულებებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების უზნებლობასა და უსაფრთხოებას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) შეფასებით, დაბინძურებული წყლის მიღება აფერხებს ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებას. ადეკვატურ წყალმომარაგებას, სანიტარიას, ჰიგიენასა და ნარჩენების მართვას არაერთი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. კერძოდ, მცირდება ბავშვებში, მასწავლებლებსა და ოჯახებში ავადობის კოეფიციენტი, ჯანსაღ გარემოში ჯანმრთელი ბავშვები უფრო ნაყოფიერად სწავლობენ, განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მეტადაა დაცული გენდერული თანასწორობა, დაკმაყოფილებულია ჰიგიენასთან დაკავშირებული საჭიროებები⁴.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ საკმაოდ პრობლემურია ადრეულ და სკოლამდელ სადამზრდელო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. მართალია, 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო⁵ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიც განსაზღვრავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების დასადგენად, შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, თუმცა აღნიშნული ჩანაწერის შემდგომ, **კანონი აღარ არეგულირებს საკითხს, თუ რა წესით და რომელი ორგანოს მიერ უნდა განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მონიტორინგი საბავშვო ბაგა-ბაღებში.** ამასთან, 2014–15

მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ დოეს საჯარო სკოლა, მცხეთის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა, სსიპ ქ. სურამის N3 საჯარო სკოლა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ თოხლაურას საჯარო სკოლა, ახმეტის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ ზემო ალვანის N2 საჯარო სკოლა და ა.შ.

³ Sustainable Development Goals, “17 Goals to transform our world”, Goal 6: Ensure access to water and sanitation for all.

⁴ World Health Organization. Water, sanitation and hygiene standards for schools in low-cost settings. 2003, 1

⁵ Concluding observations on the Third Periodic Report of Georgia, , Committee on the Rights of the Child 2008, &46

წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, განახორციელა მონიტორინგი⁶ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში სათანადო ხარისხით არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და შესაბამისი სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მონიტორინგის შემდგომ, 2014–16 წლებში ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმისწარმოებით იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში მსგავსი პრობლემები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის საკითხების შესწავლის პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს⁷ და აგრეთვე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს⁸. აღნიშნული მიმართვის ფარგლებში, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2015–2016 წლებში საჯარო სკოლებში წყლის ხარისხიანობის საკითხის შესწავლის მიზნით ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მიღებული საპასუხო წერილის⁹ თანახმად, აღნიშნული ორგანოს ვალდებულებას არ წარმოადგენს საჯარო სკოლებში სასმელი წყლის ხარისხისა და სანიტარიის დაცვის კონტროლი. კონკრეტულად, აღნიშნული უწყების საპასუხო წერილის მიხედვით, სააგენტოს მიერ, 2013 წლიდან მიმდინარე წლის ჩათვლით, აშენდა 13 საჯარო სკოლა, ხოლო შენდება 9 საჯარო სკოლა. ამასთან, „აღნიშნულ სკოლებში სააგენტოს მიერ გამოკვლეულ იქნა სასმელი წყლის ხარისხი. რაც შეეხება საქართველოს საჯარო სკოლებში სასმელი წყლის ხარისხიანობის, უსაფრთხოებისა და სანიტარიის დადგენას, აღნიშნული არ წარმოადგენს სააგენტოს კომპეტენციას. სასმელი წყლის ხარისხის და სანიტარიის დაცვის კონტროლზე ვალდებულება ეკისრება საჯარო სკოლის ადმინისტრაციას”¹⁰.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის¹¹ თანახმად, 2015-2016 წლებში სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ საჯარო სკოლებიდან სათანადო წესით აღებული და აკრედიტირებულ ლაბორატორიებში გამოკვლეული იქნა სასმელი წყლის 129 სინჯი. ლაბორატორიული კვლევის შედეგებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან

⁶<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/specialuri-angarishi-skolamdeli-saagmzrdelo-dawesebulebebis-monitoringis-shesaxeb.page>

⁷ კორესპონდენცია N10-2/262, 06/01/2017.

⁸ კორესპონდენცია N 10-2/14130, 25/11/2016.

⁹ კორესპონდენცია N MES 6 17 00040438, 18/01/2017.

¹⁰ იქვე.

¹¹ კორესპონდენცია N09/9552, 06/12/2016.

(საჯარო სკოლები) აღებული სასმელი წყლის 45 სინჯი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებულ „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს, რაც სასმელი წყლის ეპიდემიოლოგიურ არაკეთილსაიმედოობაზე მიუთითებს და წყლის არაეფექტური გაუსწებოვნებით არის გამოწვეული.

სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების თანახმად, „სასმელი წყლის ტექნიკურ რეგლამენტთან“ შეუსაბამობის შემთხვევები, ძირითადად დაკავშირებულია მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დარღვევასთან, კერძოდ, სასმელ წყალში აღინიშნება საერთო კოლიფორმული ბაქტერიების, E.coli-ისა და Streptococcus faecalis არსებობა, რაც მიუთითებს რიგ დასახლებულ ადგილებში სასმელი წყლის ეპიდემიოლოგიურ არაკეთილსაიმედოობაზე და გამოწვეულია წყლის არაეფექტური გაუსწებოვნებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სანიტარულ-მიკრობიოლოგიური დარღვევების უმეტესობა გამოვლინდა სოფლის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების გამანაწილებელ ქსელებში. მოწოდებული ინფორმაციით, სასმელი წყლის ხარისხის „სასმელი წყლის ტექნიკურ რეგლამენტთან“¹² შეუსაბამობის გამოვლენის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული სააგენტოს ახდენს ადეკვატურს რეაგირებას, კერძოდ, სასმელი წყლის მიმწოდებელ პასუხისმგებელ კომპანიებსა და უწყებებს (მათ შორის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს) წერილობით აცნობებს მათ მიერ გასატარებელი სავალდებულო ღონისძიებების შესახებ.

აღსანიშნავია, ასევე, 2013 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, 2010 წლის შემდგომ წყლის ხარისხი საჯარო სკოლების მხოლოდ 10 %-ში იქნა შემოწმებული. ამასთან, წყლის გაუწებელყოფა არასდროს განუხორციელებია სკოლების 70%-ს. წყალმომარაგების მილსადენი სისტემით საჯარო სკოლების 70 % სარგებლობს. სკოლების 4% ქალაქად და 12% სოფლად წყლის ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყალს იყენებს, სკოლების 70%-ში წყალმომარაგების მილსადენი სისტემა არ არის შეყვანილი საჯარო სკოლის შენობაში¹³.

II. მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სტანდარტების თანახმად, სასმელი წყლის მიღებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პოტენციური რისკი უნდა შეფასდეს ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოს მიერ, რაც გულისხმობს ინსპექტირების სისტემურ პროგრამას, რომელმაც, შესაძლოა, მოიცვას აუდიტი, ანალიზი, სანიტარიული შემოწმება და

¹² საქართველოს მთავრობის N58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

¹³ http://unicef.ge/uploads/Standards_Water_Sanitation_and_Hygiene_in_School.GEO_1.pdf

სხვა ასპექტები¹⁴. გარდა ამისა, ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურაზე, შემნახველ რეზერვუარებსა და მილსადენიანი თუ მილსადენის გარეშე წყლის გამანაწილებელი სისტემების ფუნქციონირებაზე¹⁵.

თვალსაჩინოა, რომ ეროვნულ დონეზე ზემოაღნიშნული სტანდარტი არასათანადოდ სრულდება. 2014 წელს საქართველოს მთავრობის N58 დადგენილებით – „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მიღებულ იქნა სასმელი წყლის უვლნებლობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები; დადგენილების მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ „სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სქემა, ჯერადობა, განსაზღვრის მაჩვენებლები და გამოსაცდელი სინჯების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით“; თუმცა, **ცენტრალურ დონეზე არ იქნა განსაზღვრული მონიტორინგის სახელმწიფო ორგანო, რომლის პირდაპირ და ძირითად ვალდებულებასაც ბავშვთა სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასმელი წყლის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის საკითხების საყოველთაო და რეგულარული კონტროლი წარმოადგენს.** ამასთან, ეროვნულ დონეზე, არ მოქმედებს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ზედამხედველობის სისტემური პროგრამა. ბავშვთა ინსტიტუტებში წყლის ხარისხის მონიტორინგის პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებში, სოფლად და თემში მცხოვრები ბავშვებისათვის უვნებელი სასმელი წყლის მიწოდების ზედამხედველობის საკითხებს. ყოველივე აღნიშნული კი წარმოადგენს პრაქტიკაში არსებული პრობლემის წარმომშობ რისკ-ფაქტორს, რომელიც განაპირობებს სასმელი წყლის მიერ გამოწვეული ჯანმრთელობის რისკის მინიმუმამდე დაყვანის ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებას.

III. სამართლებრივი რეგულირება

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ბავშვის სიცოცხლისა და გადარჩენის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლებაზე, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის პრინციპის განხორციელების აუცილებელ პირობაზე. კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ბავშვები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო წყლის უფლებით სასწავლო დაწესებულებებსა და ოჯახში. სასწავლო დაწესებულებებში არასათანადო სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას¹⁶.

¹⁴ Guidelines for Drinking -water Quality, World Health Organization, 2011, 9

¹⁵ Guidelines for Drinking -water Quality, World Health Organization, 2011, 9

¹⁶ Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 15 (2002), The right to water (arts. 11 and 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &16 (b)

ბავშვის უფლებათა კომიტეტი შემოფოთებას გამოთქვამს წყლის ხარისხზე, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს საქართველოში სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე¹⁷. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფომ თავიდან უნდა აიცილოს და აღმოფხვრას დაბალი ხარისხის ან დაბინძურებული წყალმომარაგების სისტემით გამოწვეული ზიანი ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით¹⁸. კომიტეტის შეფასებით, სუფთა და უსაფრთხო წყალი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არსებითია სიცოცხლისა და სხვა უფლებების რეალიზაციისთვის¹⁹. ამასთან, კომიტეტის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა ეფუძნებოდეს ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და საგანმანათლებლო საჭიროებებს²⁰.

ჯანმრთელობის უფლება თავის თავში მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ფართო სპექტრს, რომელიც ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების პირობებს ქმნის და ჯანდაცვის ისეთ ძირეულ ფაქტორებს ითვალისწინებს, როგორიცაა საკვები და კვების რეჟიმი, საცხოვრებელი, **უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა** და სათანადო სანიტარული პირობები, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები და ჯანსაღი გარემო²¹.

ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანმრთელობის ისეთ ფუნდამენტურ წინაპირობებს, როგორიცაა უსაფრთხო სასმელ წყალსა და სათანადო სანიტარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო საკვებით სათანადო მომარაგება, კვება და საბინაო პირობები, უსაფრთხო შრომის პირობები და გარემო, აგრეთვე ჯანმრთელობის სფეროში განათლებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით²². ფიზიკური ხელმისაწვდომობა, ასევე, გულისხმობს, რომ სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის ფუნდამენტური წინაპირობები, როგორიცაა **უსაფრთხო**

¹⁷ Concluding observations on the Third Periodic Report of Georgia, , Committee on the Rights of the Child 2008, &44

¹⁸ Concluding observations on the Third Periodic Report of Georgia, , Committee on the Rights of the Child 2008, &46

¹⁹ Committee on the Rights of the Child , General Comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art.24), paragraph 2 (c)

²⁰ Committee on the Rights of the Child , General Comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art.24), II, C

²¹ Committee on Economic, Social and Cultural Rights , General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &4

²² Committee on Economic, Social and Cultural Rights , General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &11

სასმელი წყალი და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება ფიზიკურად დაცულ ადგილას მდებარეობდეს, მათ შორის, სოფლის დასახლებებში²³.

ჯანმრთელობის უფლება მოიცავს **ხარისხის** ელემენტსაც. ჯანდაცვის დაწესებულებები, საქონელი და მომსახურება, კულტურულ შესაბამისობასთან ერთად, ასევე, მისაღები უნდა იყოს მეცნიერული და სამედიცინო თვალსაზრისით და აკმაყოფილებდეს მაღალი ხარისხის მოთხოვნებს²⁴. ამისთვის საჭიროა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მეცნიერულად შემოწმებული და ვარგისი მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობები, **უსაფრთხო სასმელი წყალი და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება**²⁵.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) შეფასებით, დაბინძურებული წყლის მიღება აფერხებს ბავშვების ფიზიკურ განვითარებას და ამცირებს მის კოგნიტურ განვითარებას. სკოლებში ადეკვატურ წყალმომარაგებას, სანიტარიას, ჰიგიენასა და ნარჩენების მართვას არაერთი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, კერძოდ, ბავშვებში, მასწავლებლებსა და ოჯახებში ავადმყოფობის კოეფიციენტი მცირდება, ჯანსაღ გარემოში ჯანმრთელი ბავშვები უფრო ნაყოფიერად სწავლობენ, განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მეტი გენდერული თანასწორობაა დაცული, ხოლო ჰიგიენასთან დაკავშირებული საჭიროებები კი, დაკმაყოფილებული²⁶. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჰიგიენის დაცვა გულისხმობს მოცემულ გარემოში ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორების გამომწვევი მიზეზების გონივრულ შემცირებას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული დოკუმენტის მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს წყლის ჰიგიენური გამოყენების სწავლება, წყლის წყაროებისა და წყლის დანაკარგის შემცირების მეთოდების დაცვა²⁷. სათანადო ჰიგიენასა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ არსებითია ადამიანის ღირსებისა და პირადი ცხოვრებისთვის, არამედ სასმელი წყლის ხარისხის დაცვის მთავარ მექანიზმსაც

²³ Committee on Economic, Social and Cultural Rights , General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &12 (b), (ii)

²⁴ Committee on Economic, Social and Cultural Rights , General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &12 (d),

²⁵ Committee on Economic, Social and Cultural Rights , General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &12 (d),

²⁶ World Health Organization. Water, sanitation and hygiene standards for schools in low-cost settings. 2003, 1

²⁷ Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 15 (2002), The right to water (arts. 11 and 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &25

წარმოადგენს²⁸. მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება თანდათან გააფართოვოს უსაფრთხო სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება, განსაკუთრებით სოფლებში ქალთა და ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით²⁹.

დასკვნა

ამდენად, როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები მოუწოდებს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, უზრუნველყოს უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და უვნებელი სასმელი წყლის მიწოდება ყველა ბავშვისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შემოიღოს კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც განხორციელებს დამოუკიდებელ და სისტემატურ მონიტორინგს არასრულწლოვანთა აღნიშნული უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- განისაზღვროს სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე ზედამხედველობის მექანიზმი;
- რეგულარულად და ჯეროვნად განხორციელდეს ბავშვთა განთავსების ინსტიტუციებში, სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყალმომარაგების მილსადენი სისტემების შეყვანის, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის კონტროლი;
- გატარდეს საჭირო ღონისძიებები ბავშვებისათვის უსაფრთხო და უვნებელი სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებზე;
- განხორციელდეს შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევათა პრევენცია/აღმოფხვრის აქტიური კონტროლი;
- განხორციელდეს აქტიური კოორდინაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის, ასევე, ამ კუთხით დავადებათა პრევენციის საკითხებზე.

²⁸ Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 15 (2002), The right to water (arts. 11 and 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &29

²⁹ Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 15 (2002), The right to water (arts. 11 and 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), &29

გთხოვთ, გატარებული ღონისძიებების შესახებ, მაცნობოთ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,